



საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ
მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭო

წლიური ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2016 წლის 29 თებერვალი- 2017 წლის 28 თებერვალი

ანგარიშში ასახულია ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიერ 2016 წლის 29 თებერვალი- 2017 წლის 28 თებერვლის პერიოდში განხორციელებული საქმიანობის ძირითადი ასპექტები

საფუძვლები

საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო (ქსს) წარმოადგენს გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის პროგრამების განხორციელების ცენტრალურ მექანიზმს. ქსს წარმოადგენს მრავალსექტორულ პლატფორმას ქვეყნის მიერ პროგრამებზე პასუხისმგებლობისათვის, აივ-ის და ტუბერკულოზის პოლიტიკისა და პროგრამული საკითხების გარშემო ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო თავის შემადგენლობაში აერთიანებს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებს, მათ შორისაა სამთავრობო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მულტი- და ბილატერალური პარტნიორები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, კერძო ბიზნესის წარმომადგენლები, დაავადებით დაზარალებული პორები და პაციენტები. ქსს-ს საქმიანობა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის დადგენილებით და 2015 წლის 1 ივნისის ქსს-ს სახელმძღვანელო დოკუმენტით.

საზედამხედველო საქმიანობა/ ქსს-ს სხდომები

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხდომები

საანგარიშო პერიოდში გაიმართა ქსს-ს 4 სხდომა (82-ე სხდომა - 2016 წლის 9 მარტი; 83-ე სხდომა - 2016 წლის 15 ივნისი 84-ე სხდომა - 2016 წლის 11 ნოემბერი; 85-ე სხდომა - 2016 წლის 29 დეკემბერი).

ქსს-ს 82-ე სხდომის ძირითადი ყურადღების ქვეშ მოექცა აივ-ის და ტბ პროგრამების თანხების გადანაწილების გადახედვის, ქსს-ს შემადგენლობის განახლების,

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის დაარსების და მის შემადგენლობაზე შეთანხმების საკითხები. მე-7 პერიოდის დეშბორდები, საზედამხედველო კომიტეტის რეკომენდაციები, გრანტების განხორციელების სტატუსი, გლობალური ფონდის რეგიონული პროგრამის „ზიანის შემცირება მუშაობს - დააფინანსეთ!“ სტატუსი, დონორული დაფინანსებიდან გადასვლის პირობებში ზიანის შემცირების პროგრამების დაფინანსების, საქართველოში 2015 წლის შემოდგომაზე ჩატარებული მაღალი დონის რეგიონული დიალოგის ძირითადი შედეგების საკითხები წარდგენილ იქნა სხდომაზე. ქსს-მ დადებითად შეაფასა საქართველოში საკანონმდებლო ატლასის დანერგვის შესაძლებლობა; მოხდა შეთანხმება ქსს-ს ინტეგრაციის კვლევაში (განმახორციელებელი - Euro Health Group) მონაწილეობის თაობაზე. **83-ე სხდომის** მსვლელობისას ქსს-მ დაამტკიცა გარდამავალი გეგმის შემოთავაზებული მონახაზი და საზედამხედველო კომიტეტის განახლებული შემადგენლობა. განხილულ იქნა გლობალური ფონდის გრანტების მიმდინარე სტატუსი, წარდგენილ იქნა ინფორმაცია გლობალური ფონდის გამგეობის 35-ე სხდომის შესახებ, გლობალური ფონდის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის „ნარკოტიკების ინიექციური მომხმარებლებისთვის აივ პრევენციული სერვისების მიწოდება“ განხორციელების სტატუსი. **84-ე სხდომაზე** წარდგენილ იქნა საზედამხედველო კომიტეტის საქმიანობა, დეშბორდები, გრანტების განხორციელების სტატუსი. მოხდა ქსს-ს ინფორმირულობა, გრანტების განხორციელების გაუმჯობესებისკენ მიმართულ, საზედამხედველო კომიტეტის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე. სხდომის ერთ-ერთი ფოკუსი იყო გარდამავალი პერიოდის გეგმის სამუშაო ვერსიის წარდგენა და მსჯელობა. გარდა ამისა, მოხდა Euro Health Group-ის მიერ ჩატარებული ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ინტეგრაციის კვლევის შედეგების წარდგენა. შეთანხმდა დამატებითი ტექნიკური დახმარების მიღების საჭიროება; მოხდა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა საერთაშორისო კავშირის 47-ე მსოფლიო კონფერენციის, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული კონსულტაციის (Expanding Access to Affordable and Quality Assured Antiretroviral and Antituberculosis medicines) მიმოხილვა და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ტუბერკულოზის ჯანმრთელობის სისტემების გაძლიერების (TB-REP/HSS) რეგიონული პროექტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა. **85-ე სხდომის** ძირითადი ფოკუსი იყო გარდამავალი პერიოდის გეგმის წარდგენა. სხდომის გადაწყვეტილების თანახმად გაგრძელდა კონსულტაციები პოლიტიკისა და ადვოკატირების კომიტეტის წევრებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. გეგმა ელექტრონული კენჭისყრის მეშვეობით დამტკიცდა ქსს-ს მიერ 2017 წლის 6 თებერვალს. სხდომაზე გაიმართა გლობალური ფონდის თანხების ალოკაციის წერილის დეტალური განხილვა. წარდგენილ იქნა ქსს-ს საქმიანობის შემაჯამებელი მიმოხილვა, გრანტების მიმდინარეობის სტატუსი. აუდიტორიას მიეწოდა განახლებული ინფორმაცია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ტუბერკულოზის რეგიონული

პროექტის ჯანმრთელობის სისტემების გაძლიერების (TB-REP/HSS) ეროვნული სამუშაო ჯგუფის და TB-REP-ის ფარგლებში ტუბერკულოზის მართვის ამბულატორიული მოდელის ადვოკაციის სტრატეგიის შესახებ. წარდგენილ იქნა საერთაშორისო ფონდ კურაციოს მიერ განხორციელებული კვლევის - ტუბერკულოზის მკურნალობაზე დამყოლობის ბარიერები და ხელშემწყობი ფაქტორები -შედეგები. გარდა ამისა, დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია ტუბერკულოზის ეროვნულ პასუხში სამოქალაქო სექტორის ჩართულობის შესახებ საბაზისო შეფასების შედეგების თაობაზე (ჩატარდა პარტნიორობის „შევაჩეროთ ტუბერკულოზი“ პროექტის ფარგლებში საერთაშორისო ფონდ კურაციოს მიერ). წარდგენილ იქნა განახლებული ინფორმაცია ტუბერკულოზის სფეროში მიმდინარე და დაგეგმილი კვლევების შესახებ.

საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრები/საზედამხედველო ვიზიტები.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა საზედამხედველო კომიტეტის 4 შეხვედრა და 5 საზედამხედველო ვიზიტი, აქედან 2 ვიზიტი განხორციელდა რეგიონებში. ჯამურად მონახულებულ იქნა პროექტის განხორციელების 10 საიტი. საზედამხედველო კომიტეტის შემდეგი შეხვედრა დაიგეგმა 2017 წლის მარტისთვის. ქსს-ს რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია საზედამხედველო აქტივობების შესახებ როგორც სხდომებზე, ასევე ელექტრონულ ფორმატში. საზედამხედველო საქმიანობის ანგარიშები განთავსებულია ქსს-ს ვებ-გვერდზე.

საზედამხედველო ვიზიტის თარიღი	ადგილმდებარეობა	მიზანი
26 აპრილი, 2016	ძირითადი მიმღების ოფისი	მობილური ამბულატორიების ფუნქციონირების 4-თვიანი პერიოდის პროგრესის და გამოწვევების შეფასება
12 ოქტომბერი, 2016	MSM რესურს ცენტრი	გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე შიდსის პროექტის მიმდინარეობის განხილვა. ლგბტ თემის მიერ MSM პოპულაციაში განხორციელებული აქტივობების განხილვა.
1 ნოემბერი, 2016	ახალი ვექტორი	გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (GEO-H-NCDC) განხორციელების სტატუსის და სათემო ორგანიზაციის „ახალი ვექტორის“ მიერ ნარკოტიკის ინიექციური მომხმარებლებისათვის განხორციელებული ინტერვენციების განხილვა.

		განხილვის დამატებითი თემები მოიცავდა პროგრამულ საკითხებს, აივ-ის პრევენციის მეორადი სერვისებით მოცვის გამოწვევებს და პროგრამის განხორციელების გზებს და მექანიზმებს.
23 იანვარი, 2017	<ol style="list-style-type: none"> 1. შპს "ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი" №3 მით განყოფილება, გორი 2. ტბ პროგრამა, შპს გორმედი 3. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის სერვის ცენტრი „ნაბიჯი მომავლისკენ“ 	გლობალური ფონდის დაფინანსებით მიმდინარე GEO-H-NCDC პროგრამის მიმდინარეობის სტატუსის განხილვა და აქტივობების განხორციელების სირთულეების იდენტიფიცირება, პროგრამების ბენეფიციარებთან შეხვედრა და პირველადი წყაროდან სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებული კმაყოფილების ან საჭიროების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.
31 იანვარი - 1 თებერვალი, 2017 წ	<ol style="list-style-type: none"> 1. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი 2. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი/იმედი 3. თანადგომა 4. შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდი, ბათუმის ფილიალი 	გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე შიდსის და ტუბერკულოზის პროექტის მიმდინარეობის სტატუსის შეფასება, აქტივობების განხორციელების გამოწვევების იდენტიფიცირება, ბენეფიციარებთან შეხვედრა.
საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრის თარიღი	ადგილმდებარეობა	მიზანი
7 მარტი, 2016	დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრი	აივ-ის და ტბ-ის მე-7 პერიოდის დემზორდების განხილვა
30 მაისი, 2016	დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრი	აივ-ის 1 პერიოდის და ტბ მე-8 პერიოდის დემზორდების განხილვა
13 ივლისი, 2016	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საზედამხედველო კომიტეტის ახალი წევრების ორიენტაცია საზედამხედველო კომიტეტის

		ფინქციონირების ძირითადი ასპექტების/ საზედამხედველო ინსტრუმენტების შესახებ/შეთანხმება წლიური სამუშაო გეგმის შესახებ/საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარის და რეგიონული პროგრამის „ზიანის შემცირება მუშაობს - დააფინანსეთ!“ საზედამხედველო კომიტეტის წევრის კანდიდატურების ნომინირება
26 სექტემბერი, 2016	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აივ-ის გრანტის მე-2 დეშბორდის და ტბ გრანტის მე-9 პერიოდის დეშბორდების განხილვა

ქსს-ს შემადგენლობის განახლება

ქსს-ს შემადგენლობის განახლების შედეგად ქსს-ს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები არჩეულ არიან საკუთარი წარმომადგენლობის მიერ გაჭვირვალე და დოკუმენტირებული პროცესის მეშვეობით; გაძლიერდა ტბ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლობა; უზრუნველყოფილია სამოქალაქო სექტორის ადექვატური, დაბალანსებული და პროპორციული წარმომადგენლობა. ქსს-ს წევრებს სამოქალაქო სექტორიდან მათი წარმომადგენლობების მიერ მინიჭებული აქვთ ქსს-ს და წარმომადგენლობას შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია და მათ შორის ეფექტური კომუნიკაციის წარმოების ამოცანა. წარმომადგენლობების მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმა განსაზღვრავს წევრის ძირითად საკომუნიკაციო დავალებებს, რომლის შესრულება სავალდებულოა წევრის მიერ ქსს-ს და სამოქალაქო სექტორს შორის უწყვეტი უკუკავშირის უზრუნველსაყოფად. სამუშაო გეგმა ნათლად განსაზღვრავს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლის ანგარიშების ვალდებულებას აღნიშნულ პროცესში.

ქსს-ს შემადგენლობის განახლების შედეგად სამოქალაქო სექტორი საბჭოში სტრუქტურირებულია შემდეგნაირად:

სამოქალაქო სექტორის 14 წევრი-ორგანიზაცია (ქსს-ს შემადგენლობის 48%)

წარმომადგენლობები:

- 1) აივ-ის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები – 3 წევრი
- 2) ტუბერკულოზის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები – 2 წევრი
- 3) აივ-ით დაზარალებული ძირითადი ჯგუფი -1 წევრი

- 4) აივ-ით დაზარალებული ძირითადი ჯგუფი, MSM -1 წევრი
- 5) აივ-ით დაზარალებული ძირითადი ჯგუფი (სხვა)-1 წევრი
- 6) ტბ-ით დაზარალებული ძირითადი ჯგუფი -1 წევრი
- 7) აივ-ინფიცირებული - 1 წევრი
- 8) ტბ-ით დაავადებული პაციენტი ან ყოფილი პაციენტი – 1 წევრი
- 9) რელიგიური ორგანიზაცია – 1 წევრი
- 10) აკადემიური სექტორი - 1 წევრი
- 11) კერძო სექტორი - 1 წევრი

ახალი წევრების საორიენტაციო შეხვედრა

ქსს-ს შემადგენლობის განახლების შემდგომ გაიმართა ახალი წევრების 2 საორიენტაციო შეხვედრა. ერთ-ერთი ამ ორი შეხვედრისგან გაიმართა საანგარიშო პერიოდში (2016 წლის 5 აპრილი). შეხვედრამდე განახლებული სტანდარტული საორიენტაციო პაკეტი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) მიეწოდა საბჭოს მთელ შემადგენლობას და განთავსდა ქსს-ს ვებ-გვერდზე. საბჭოს ყველა წევრი მოწვეულ იქნა შეხვედრაზე. ქსს-ს როლი, წევრობა, საქმიანობის წესი, გლობალური ფონდის მიმდინარე გრანტები/გარდამავალი პერიოდი, ინტერესთა კონფლიქტის მართვა, ანგარიშების პრინციპები, კომუნიკაცია და ინფორმაციის გაზიარება, საზედამხედველო ფუნქცია, საზედამხედველო კომიტეტის ფუნქციონირების პრინციპები განხილულ იქნა შეხვედრის მსვლელობისას.

საზედამხედველო კომიტეტის შემადგენლობის განახლება

საბჭოს 82-ე სხდომაზე შეთანხმებული საპროცედურო ნორმების თანახმად წარმართა საზედამხედველო კომიტეტის შემადგენლობის განახლება. განახლებული შემადგენლობა დამტკიცდა საბჭოს 83-ე სხდომაზე.

გარდამავალი პერიოდის დაგეგმვა

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი (პასკ)

ტუბერკულოზისა და აივ პროგრამების გლობალური ფონდის დაფინანსებიდან სახელმწიფო დაფინანსებაზე შეუფერხებელი გადასვლის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭომ ჩამოაყალიბა პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი, რომლის მთავარი ამოცანაა ქსს-სათვის გარდამავალი პერიოდის გამოწვევების იდენტიფიცირებისა და მათი გადაწყვეტის პოტენციური გზების მოძიებაში დახმარების აღმოჩენა. კომიტეტი ჩაერთო ტუბერკულოზისა და აივ-ის პრევენციის და სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის, რეგულაციების, ოპერაციული პოლიტიკის და პრაქტიკის სტანდარტების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ადვოკატირების ღონისძიებებში. კომიტეტის მთავარი ფუნქციაა მდგრადობის გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვა, რომლის მიზანია დონორული რესურსის ამოწურვის

პირობებში ადგილობრივი რესურსების გამოყენებით ხარისხიან აივ-ტესტირებაზე, პრევენციაზე, ზრუნვასა და მხარდაჭერაზე, ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სერვისებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. კომიტეტი დაკომპლექტდა ძირითადი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ძირითადი დაზარალებული ჯგუფების, დაავადებული პირების და ტუბერკულოზისა და აივ-ის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების წარმომადგენლებით, ქსს-ს წევრებით. კომიტეტს ხელმძღვანელობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე. პოლიტიკის და ადვოკატირების კომიტეტის სპეციალისტი (რომლის დაკონტრაქტება მოხდა ქსს-ს მიერ) უზრუნველყოფს კომიტეტის ტექნიკურ და ოპერაციულ მხარდაჭერას. ანგარიშგების პერიოდში ჩატარდა კომიტეტის 7 შეხვედრა და 3 თემატური შეხვედრა. კომიტეტის I შეხვედრა - 20 აპრილი, 2016; მე-2 შეხვედრა - 20 მაისი, 2016; მე-3 შეხვედრა - 17 ივნისი, 2016; მე-4 შეხვედრა - 7 სექტემბერი, 2016; მე-5 შეხვედრა - 22 სექტემბერი, 2016; მე-6 შეხვედრა - 7 ნოემბერი, 2016; მე-7 შეხვედრა - 17 იანვარი, 2017. 1 თემატური შეხვედრა - 8 აგვისტო, 2016; მე-2 თემატური შეხვედრა - 27 სექტემბერი, 2016; მე-3 შეხვედრა - 16 დეკემბერი, 2016. კომიტეტმა წარმატებით დაასრულა გარდამავალი გეგმის შემუშავების ხელშეწყობა. გეგმა დამტკიცდა საბჭოს მიერ. თუმცა განიხილება კომიტეტის, როგორც ქსს-ს საკონსულტაციო პლატფორმის შენარჩუნება თანხების ალოკაციის წერილის თანახმად დაფინანსების მოთხოვნის შემუშავების პროცესში.

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ტუბერკულოზის რეგიონული პროექტის ჯანმრთელობის სისტემების გაძლიერების (TB-REP/HSS) ეროვნული სამუშაო ჯგუფი

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ტუბერკულოზის რეგიონული პროექტის ფარგლებში ქსს-ს მიერ 2016 წლის სექტემბერში დაარსდა ეროვნული სამუშაო ჯგუფი. პროექტი ხორციელდება PAC-ის მიერ (ჯანდაცვის პოლიტიკის და კვლევების ცენტრი) ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის ბიუროსთან თანამშრომლობაში თერთმეტ ქვეყანაში.

ჯგუფის ძირითადი როლი ფოკუსირებულია შემდეგი საკითხების გარშემო: უმაღლეს სამთავრობო დონეს შესთავაზოს რეკომენდაციები ტუბერკულოზის მართვის მოდელების გაუმჯობესების და შესაბამისი დაფინანსების სტრატეგიულ მიმართულებებთან დაკავშირებით; გაუწიოს კონსულტირება ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე ტუბერკულოზის მოდელების დანერგვისთვის საჭირო პრაქტიკული, ქვეყნისთვის მიზანშეწონილი მექანიზმების შესახებ; უზრუნველყოს შემდეგი საკითხების ტექნიკური მხარდაჭერა: ქვეყნის შესაბამისად ადაპტირებული HSS/TB გზამკვლევის, ტუბერკულოზის ინოვაციური და მდგრადი დაფინანსების მექანიზმის და პიროვნებაზე ორიენტირებული მოდელების შემუშავება და შემდგომი

დანერგვა და/ან მოიძიოს გარე ტექნიკური დახმარება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის ბიუროსთან კომუნიკაციაში და კოორდინაციაში; ჯგუფი უფლებამოსილია უზრუნველყოს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის და საქართველოს ოფისების, პროექტის სხვა პარტნიორების და ეროვნულ დონეზე პასუხისმგებელი პირების (focal points), ტუბერკულოზის და HSS-ის შესაბამისი ჯგუფების, როგორცაა ქსს და ინტერსექტორული სამუშაო ჯგუფის(ების) მჭიდრო თანამშრომლობა;

ეროვნული სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა 2016 წლის 20 დეკემბერს. შეხვედრის ამოცანები იყო: ჯგუფის წევრების ინფორმირება TB-REP პროექტის შესახებ; ეროვნული სამუშაო ჯგუფის ფუნქციების მიმოხილვა; პრიორიტეტული სფეროების და ტექნიკური დახმარების საჭიროებათა განსაზღვრა საქართველოში ტუბერკულოზის კონტროლის გაუმჯობესებისათვის მართვის ამბულატორიული მოდელის დანერგვის გზით; ჯგუფის მუშაობის წესების განსაზღვრა. დაგეგმილია პოლიტიკისა და ადვოკატების საკონსულტაციო კომიტეტის მოქმედება ქსს-ს ეგიდის ქვეშ ქსს-ს და შესაბამისი სამინისტროების მხარდაჭერისათვის: (1) ტუბერკულოზის ზრუნვის ამბულატორიული მოდელის კონცეფციის და განხორციელების მექანიზმის შემუშავებაში; (2) ალოკაციის წერილის საპასუხოდ დაფინანსების მოთხოვნის შემუშავებაში; (3) აივ პრევენციის სერვისების მდგრადი მიწოდების პოლიტიკის შემუშავების პროცესის დაკვირვებაში.

ტუბერკულოზის სფეროში კლინიკური კვლევების კოორდინაციის ჯგუფი

2015 წელს საბჭოს მიერ დაარსებული ტუბერკულოზის სფეროში კლინიკური კვლევების კოორდინაციის ჯგუფი აგრძელებს ფუნქციონირებას ტუბერკულოზის სფეროში კვლევების კოორდინაციის მიზნით. საანგარიშო პერიოდში გაიმართა 4 შეხვედრა (22 აგვისტო, 2016; 4 ნოემბერი, 2016; 25 ნოემბერი, 2016; 28 თებერვალი, 2016). შეხვედრებზე განხილულ იქნა ტბ სფეროში მიმდინარე და დაგეგმილი კვლევების შესახებ განახლებული ინფორმაცია, კვლევებში თემის ჩართულობის გაძლიერების საკითხები. კოორდინაციის და ჰარმონიზაციის გაუმჯობესების მიზნით ხდება ქსს-ს რეგულარული ინფორმირება კლინიკური კვლევების შესახებ როგორც სხდომებზე, ასევე ელექტრონულ ფორმატში.

კვლევითი აქტივობების ამჟამინდელი სტატუსია:

endTB კვლევა - ხელი მოეწერა სამმხრივ ურთიერთშეთანხმების მემორანდუმზე (ტუბ. ცენტრის, ჯანდაცვის სამინისტროსა და MSF მიერ); ხელი მოეწერა ტუბ. ცენტრსა და MSF-ს შორის თანამშრომლობის შეთანხმებაზე; განხორციელდა საკვლევო და თანმხლები მედიკამენტების გადაცემა ცენტრისათვის; პაციენტების სკრინინგი/ჩართვა - გააქტიურდა.

STREAM კვლევა – იმყოფება მოსამზადებელ ფაზაში; ხელშეკრულებაზე ხელმოწერის სავარაუდო თარიღი - 2017 წლის მარტი; საიტის ინიციაციის და ტრენინგის ჩატარების დადასტურებული თარიღი - 2017 წლის 15 მაისი; ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან თანხმობის მოსალოდნელი თარიღი - 2017 წლის 24 მარტი.

STAND (NC 006 (M-Pa-Z) კვლევა – ამჟამად შეჩერებულია; კვლევაში ჩართულ ორ პაციენტზე მონიტორინგი გაგრძელდება 2017 წლის სექტემბრამდე; 2017 წლის თებერვალში კვლევის აუდიტმა განიხილა საქართველოში კვლევის მიმდინარეობა, შენიშვნები არ დაფიქსირდა; კვლევა დასრულდება ყველა საიტზე 2017 წლის დეკემბერში.

NIX-TB კვლევა – 2017 წლის თებერვალში ხელშეკრულებას მოეწერა ხელი; 2017 წლის მარტში დოკუმენტაცია განმეორებით მიეწოდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს; 2017 წლის 23 თებერვალს ჩატარდა საიტის მზაობის შეფასება და სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში სპონსორის მიერ დაინიშნება კვლევის ინიციაციის დღე.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების, ტუბერკულოზითა და აივით ძირითადი დაზარალებული ჯგუფების და დაავადებულ პირების აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნულ საპასუხო ღონისძიებებში ჩართულობის გაღრმავების მიზნით, 2017 წლის 23 თებერვალს გაიმართა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიერ ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი. ფორუმის მიზანი იყო გარდამავალი პერიოდის მდგრადობის გეგმის ძირითადი ქვაკუთხედების და მათი შესრულებისკენ მიმართული კოორდინირებული ქმედებების განხილვა. ფორუმის მსვლელობისას გაშუქდა აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის კონტროლის მიმდინარე ინიციატივები და მათ განხორციელებაში სამოქალაქო საზოგადოების როლი, გარდამავალი პერიოდის დაგეგმვის პროცესი, გლობალური ფონდის მიმდინარე გრანტები და დაფინანსების სამომავლო პერსპექტივები. შეხვედრას არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს საკოორდინაციო საბჭოს სხვა წევრები, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი პირები, სამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, გლობალური ფონდის წარმომადგენლები დაესწრნენ. როგორც თავად ღონისძიებაში მონაწილეობის, ასევე მისი მზადების პროცესში სამოქალაქო სექტორის ჩართულობის

გამლიერების მიზნით, ფორუმის კონცეფციის შესამუშავებლად ჩატარდა ორი საკონსულტაციო შეხვედრა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან (20 დეკემბერი, 2016; 10 იანვარი, 2017).

მოხდა ღონისძიების მასმედიის საშუალებებით გაშუქებით უზრუნველყოფა. ბმულები მოცემულია ქვემოთ:

Imedi Channel- Qronika 11:00

<http://mediamonitoring.ge/mms/includes/video/video.php?id=4277739>; Rustavi 2 Channel -

Kurieri 15:00- <http://mediamonitoring.ge/mms/includes/video/video.php?id=4279017>; I

Channel - Moambe 12:00-

<http://mediamonitoring.ge/mms/includes/video/video.php?id=4278050>; Maestro Channel -

12:00-<http://mediamonitoring.ge/mms/includes/video/video.php?id=4278002>;

<http://kvira.ge/312691>; [http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/420166-thbilisshi-](http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/420166-thbilisshi-aivshidsis-da-tuberkulozis-sferoshi-momushave-samoqalaqo-seqtoris-forumi-gaimartha.html?ar=A)

[aivshidsis-da-tuberkulozis-sferoshi-momushave-samoqalaqo-seqtoris-forumi-](http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/420166-thbilisshi-aivshidsis-da-tuberkulozis-sferoshi-momushave-samoqalaqo-seqtoris-forumi-gaimartha.html?ar=A)

[gaimartha.html?ar=A](http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/420166-thbilisshi-aivshidsis-da-tuberkulozis-sferoshi-momushave-samoqalaqo-seqtoris-forumi-gaimartha.html?ar=A); [http://jandacva.ge/aivshidsis-da-tuberkulozis-sferoshi-moghvawe-](http://jandacva.ge/aivshidsis-da-tuberkulozis-sferoshi-moghvawe-samoqalaqo-seqtoris-forumi-gaimarta/)

[samoqalaqo-seqtoris-forumi-gaimarta/](http://jandacva.ge/aivshidsis-da-tuberkulozis-sferoshi-moghvawe-samoqalaqo-seqtoris-forumi-gaimarta/)

ქსს-ს ინტეგრირების კვლევა

2016 წლის 7-10 მაისს Euro Health Group-მა განახარციელა საქართველოში ქსს-ს ინტეგრირების კვლევა. კვლევა დაფინანსებულია გლობალური ფონდის და GIZ BACKUP Initiative-ის მიერ და ჩატარდა ხუთ ქვეყანაში. 2016 წლის 17 მაისს გამართულ სამუშაო შეხვედრაზე წარდგენილ და განხილულ იქნა კვლევითი გუნდის მიგნებები და ქსს-ს შემდგომი განვითარების შესაძლო ვარიანტები. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ქსს-ს განვითარების გზამკვლევის და საჭირო ტექნიკური დახმარების შესახებ. კვლევის ანგარიში და დამატებითი ტექნიკური დახმარების მოპოვების შესაძლებლობის საკითხი განხილულ იქნა ქსს-ს 85-ე სხდომაზე. ტექნიკური დახმარებს მიღება მოსალოდნელია 2017 წლის ივნისის-სექტემბრის პერიოდში.

გლობალური ფონდის გრანტები

გლობალურმა ფონდმა დაამტკიცა დაფინანსების ახალი მოდელის აივ-ის და ტბ-ის გრანტები.

GEO-H-NCDC გრანტის განხორციელება დაიწყო 2017 წლის 1 ივლისს. განხორციელების პერიოდი: 2017 წლის 1 ივლისი - 2019 წლის 30 ივნისი.

დაფინანსების ახალი მოდელის NFM GEO-T-NCDC გრანტის განხორციელება დაიწყო 2017 წლის 1 იანვარს. განხორციელების პერიოდი: 2017 წლის 1 იანვარი - 2019 წლის 31 დეკემბერი.

დაფინანსების ახალი მოთხოვნის შემუშავების მზადება

ქს-მ წამოიწყო დაფინანსების ახალი მოთხოვნის მზადების პროცესის გამჭვირვალე და წარმომადგენლობითი ხასიათის უზრუნველყოფისკენ მიმართული ქმედებები. ეფექტური კომუნიკაციის და გაფართოებული წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით მოხდა თანხების ალოკაციის წერილის ფართოთ გავრცელება, დაფინანსების სამომავლო პერსპექტივების საკითხი გახდა განხილვის და მსჯელობის საგანი 2017 წლის 23 თებერვალს ჩატარებული სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე.

2017 წლის 21 მარტი

ანგარიში შედგენილია ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს მიერ.